შემდეგ **ამხ. მაისურაძე** შეეხო მუშათა მომარაგების საკითხს. ჩვენი არტელების მუშებს ხშირად ხსნიან მომარაგებიდან ყოვლად უპასუხისგებლოდ. რაიონებიდან ჩვენ გვატყობინებენ მომარაგებიდან ამა თუ იმ არტელის წევრთა მოხსნის შესახებ. მომარაგების ორგანიზაციების ასეთ თავაშეებულებას ბოლო უნდა მოელოს. საჭიროა სისტემატიური ბრძოლის წარმოება იმისათვის, რომ მომავალში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სარეწაო კოოპერაციაში გაერთიანებულ შინამრეწველთა მომარაგება, როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო პროდუქტებით.

შევამციროთ თვითღირებულება, გავაუმჯობესოთ ხარისხი

ამხ. შიშნიაშვილი. (საქ. მუშაღელბანი) შეეხო ტყავის და სამკერვალო მრეწველობის ტრესტის და ტყავგაერთიანების მუშაობის საკითხს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში. საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, ჩვენ შევამოწმეთ ტყავგტრესტის საქონლის წარმოების როგორც ძირითადი, ისე დამატებითი გეგმა ტრესტმა დღემდე მხოლოდ 37,5 პროც. შეასრულა. ტყავტრესტს აქვს უდიდესი შესაძლებლობანი — გააფართოოს ფართო მოხმარების საგნების წარმოება, რადგან მას მოეპოება საჭირო მასალა და ნარჩენები.

საქ. სამკერვალო მრეწველობის ტრესტმა გეგმა შეასრულა 55,5 პროცენტით. ეს ციფრი ცხადყოფს, რომ სამკერვალო ტრესტი დღემდე არ შესდგომია სერიოზულად ამ საქმეს. ტრესტის ხელმძღვანელობა ამ დარგში იჩენს დაუშვებელ სისუსტეს და საწარმოებს ვერ უწევს სათანადო დახმარებას. კიდევ მეტი: სამკერვალო მრეწველობის ტრესტს აქამდე არა აქვს კონკრეტული გეგმა, არა აქვს ფართო მოხმარების საქონლის დამატებითი წარმოების თვიური გეგმა. ტრესტის ფაბრიკებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და ვერ მოაგვარეს ნარჩენების გამოყენების საკითხი.

როგორც სამეურნეო და სავაჭრო-კოოპერატიული ორგანიზაციები, ისე საქ. მუშაღლებინი დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების და თვითღირებულების შემცირების საკითხების შესწავლას. ამ დარგში სრულ თვითნებობას აქვს ადგილი. ერთ და იგივე საქონელს სხვადასხვა ორგანიზაციები სხვადასხვა ფასებში ჰყიდიან და ამით არევ-დარევა შეაქვთ საქმეში.

საქ.სახკომსაბჭოს ბრიგადებთან ერთად, აჭარისტანის ადგილობრივ და ორგანიზაციებმა, — ამბობს **ამხ. რამიშვილი,** (აჭარისტანი) გამოამეღავნეს არსებული შესაძლებლობანი და დასახეს ფართო მოხმარების საქონლის დამატებით წარმოების კონკრეტული გეგმა. ამ გეგმით მომდინარე წლის მეორე ნახევარში აჭარისტანში დამატებით უნდა დამზადდეს 768 ათასი მან. ფართო მოხმარების საქონელი; აქედან აგვისტოში გათვალისწინებული 75 ათასი მან. ცალკად დამზადდა მხოლოდ (გეგმის 91,7 პროც.).

ზოგიერთი ორგანიზაციები მეტი მოგების მიღების მიზნით თვითნებურად ადიდებენ ფასებს ფართო მოხმარების საქონელზე. ასეთი მისწრაფება კოოპერაციაში. ინვალიდთა კოოპერაცია სამკერვალო მრეწველობის ნარჩენებისაგან ამზადებს საზამთრო საგნებს და ჰყიდის თითო ცალს 80 მანეთად.

თვითღირებულების შემცირების, ასორტიმენტის და ფართო მოხმარების საგნების გაიაფების საკითხს ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. აჭარისტანში ამ საკითხებს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **ამირალოვმა,** (ტყავგაერთ.), **აკირტავამ,** (სახკომსაბჭო), **ალიოდამ,** (ტყავტრესტი). **ბრიგადიერმა (სატყეო ტრესტი), დარჩიამ,** (საქ. ინვალიდთა კოოპერაცია) და სხ.

„პრავდა"-ს პრესის მიმოხილვა

„ორი დედა ქალაქის გამოძახება"

„ტიფლისკი რაბოჩი" — „რაბოჩაია მოსკვა"

ამხ. სტალინი ჯერ კიდევ 1924 წლის აპრილში მიგვითითებდა იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადასჭრას პარტიამ, რათა შეინარჩუნოს პროლეტარიატის დიქტატურა, განამტკიცოს იგი და გააფართოოს სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის. რას ნიშნავს დიქტატურის შენარჩუნება და გაფართოება? „ეს ნიშნავს დისციპლინისა და ორგანიზაციული დარაზმულობის სულის შთაბერვას პროლეტართა მილიონიან მასებისათვის, ეს ნიშნავს მტკიცე პროლეტარული დასაყრდენის შექმნას წვრლბურუაზიულ ჩვეულებათა მავნე გავლენების წინააღმდეგ, პროლეტარების იმ ორგანიზაციული მუშაობის განმტკიცებას, რომელიც მიმართულია წვრილბურუაზიული ფენების ხელახალი აღზრდისა და გარდაქმნისკენ, ეს ნიშნავს იმას, რომ დაეხმარო პროლეტართა მასებს აღზარდონ თავისი თავი, როგოროც ძალა, რომელიც შესძლებს კლასების მოსპობას და პირობების მომზადებას სოციალისტური წარმოების მოწყობისათვის.

ჩვენი პარტია სულ უფრო და უფრო წარმატებით ახხორციელებს ამ მუშაობას. მუშათა კლასის კადრები თვალსაჩინოდ გაზარდა, ბოლშევიკების რიგებს ემატება ახალი ძალები. იზრდება ძირეული პარტიული ორგანიზაციის უჯრედის როლი. კომუნისტები პროლეტარიატის პირველ რიგებში მიდიან. უჯრედი მეთაურობს მასების ბრძოლას საბრუნველო საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, უჯრედი აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელობას. მე-16 პარტყრილობის შემდეგ ახალი ნახევარი მილიონი პროლეტარი დადგა ლენინის პარტიის დროშის ქვეშ. (გამოცემულია).

ასეთ პირობებში ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული საუკეთესო უჯრედების გამოცდილება, პირველ რიგში მოსკოვის და ლენინგრადის უჯრედების, რომლებიც გამოჩენებენ პარიტეტულ-ორგანიზაციული აღმშრდელობითი მასიური მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს.

რამდენად მტკიცდება საწარმოში საშუალო პარტიული რგოლი—საამქროს უჯრედი? რამდენად კარგად ხორციელდება პარტიული ხელმძღვანელობა კონკრეტულ პირობებს საამქროში, სწავლობს ამოწმებს და ხელს უწყობს ამ. სტალინის ეჭვი მოითხების განხორციელებას? როგორ ტარდება უჯრედში პარტიული დღე? გამოყენებულია თუ არა ერთიანი პარტდღის მომზადების სხვადასხვა ფორმები? მოგვარებულია თუ არა სწავლება, ყველა კომუნისტების და მთელი პარტიული აქტივის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა? არის თუ არა უჯრედი მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის წარმოებული ბრძოლის ორგანიზატორი? უკეთესთა გამოცდილების ჩვენება, ჩამორჩენილთა დაწინაურება—პრესის სატანო ამოცანაა.

1932 წლ. 14 აგვისტოს „ტიფლისკი რაბოჩი"-მ დაიწყო მისკოვის გამოძახება. „ტიფლისკი რაბოჩი"-მ იკისრა გადასცეს საქართველოს უჯრედებს პროლეტარული დედაქალაქის საწარმოთა პარტიულ-მასიური მუშაობის გამოცდილება.

„ტიფლისკი რაბოჩი"-მ ამოცანად დაისახა დაეხმარის პარტუჯრედებს მათი მუშაობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის საქმეში (მოსკოვის გამოცდილების საფუძველზე).

1932 წლ. 14 აგვისტოს „ტიფლისკი რაბოჩი"-ს ფურცლები დაეთმო „ელექტროზავოდ"-ის, „დინამო"-ს და „კრასნაია პრესნია"-ს ბოლშევიკებს. „ელექტროზავოდ"-ის პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ფილდმანმა განაცხადა, რომ ქარხანაში ტარდება პარტდღე. ამხ. მოლოდოვმა აცნობა თბილისის და მთელი საქართველოს მუშებს, თუ როგორ არის გატარებული პარტმუშაობა „დინამო

ფერო-გიგანტის მუშენებლობას მეტი დახმარება

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს: მშენებლობა განიცდის მუშახელის დიდ დანაკლის, რის გამო ჩაშორჩენილია მთელი რიგი სამუშაოები: მშენებლობის ყველა ობიექტებზე ყოველდღიურად გეგმით უნდა მოძრაბდეს 1515 მუშა, აქედან არიცხება 929 მუშა, ფაქტიურად კი მუშაობს 650. ასე ამრიგად მშენებლობას ყოველდღიურად აკლია 865 მუშა.

ქარხნის მშენებლობის მუშახელით უზრუნველსაყოფად საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა ნება დართო მშენებლობას შეეგროვებინა მუშა ხელი მახლობელ რაიონებში. მუშა-ხელის შეგროვების საკონტროლო ცენტრი საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა დააწესა შემდეგი რაოდენობით. ბალდათიდან 150 მუშა, სამტრედიიდან, 100, ახალციხიდან 100, ვანიდან 100 და თვით ზესტაფონიდან 200 მუშა, სულ 650..

ქარხნის მშენებლობის სამკუთხედმა დასდო ხელშეკრულებები ზესტაფონის რაიონის 27 კოლმეურნეობასთან, რომლებსაც მშენებლობისათვის უნდა მიეცათ 68 კაცი, აქედან კოლმეურნეობებმა მშენებლობას მიაწოდეს 15 კაცი, რომლებმაც ორი თვე და წავიდენ უკან დაბრუნდნენ. დანარჩენი რაიონებიდან არც ერთი მუშა არ მოსულა.

უკანასკნელად საქართველოს კ.პ.(ბ) ზესტაფონის რაიკომის ახალი განაწილების თანახმად, რაონის საბჭოს მშენებლობისათვის უნდა მოეწოდებინათ 200 კაცი, ეს დადგენილება შეუსრულებელი დარჩა.

მშენებლობაზე ამჟამად შემდეგი სურათი გვაქვს: 21 სექტემბრისათვის ქარხნის საღუმელე კოპუსის მშენებლობაზე შეუსრულებელი დარჩა კიდევ 1,9 პროცენტი. უნდა აღინიშნოთ, რომ შედარებით სხვა ობიექტებთან, მშენებლობის ამ ობიექტზე მუშაობის ტემპი უკეთესი იყო მიუხედავათ იმისა, რომ მუშა-ხელის დანაკლისი 30 პროცენტს შეადგენდა.

საღუმელე კოპუსის გასაცივებელი განყოფილების სამუშაოები მზადაა 51,3 პროცენტით. კირ-ქვის ბუნკერები მზადაა 86,5 პროცენტით, მარგანეცის ბუნკერების სამუშაოები კი შესრულებულია 94,2 პროც.

ლია ქვესადგურის სამუშაოები შესრულებულია 99,6 პროცენტით, დახურული ქვესადგურის მშენებლობა კი 83 პროცენტით. ქარხნის ლაბორატორია 99,25 პროცენტით.

წყალსადენის მშენებლობა შესრულებულია მხოლოდ 35 პროცენტით. კანალიზაციის გაყვანას აკლია 4 პროცენტი.

რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის მშენებლობაზე მიწის სამუშაოები შესრულებულია 88 პროცენტით. კლუბ-სასადილოს დამთავრებას აკლია 0,25 პროცენტი.

ჯერ კიდევ არაა დაწყებული ქარხნის ზოგიერთი მთავარი ნაწილების მშენებლობა, როგორიცაა ცენტრალური ბუნკერები, საქარხნო რკინის გზის ლიანდაგები, დახრილი ხიდი, მექანიკური სახელოსნო და სხვ. აღნიშნული სამუშაოების დაუწყებლობა უმთავრესად მუშა ხელის სამარცხვინოდ გამოწვეული. ცენტრალური ბუნკერების მშენებლობის დაწყების აფერხებდა აგრეთვე ნახაზების დაგვიანებით მიღება. ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დამტკიცებული მექანიკური სახელოსნოს პროექტი.

ქარხნის მოკლე ტაქტი

ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაო ქარხნის მონტაჟის დასაწყებად. საღუმელე შენობაში მონტაჟის დაწყება შესაძლებელია პირველი ნოემბრიდან. თუ საჭირო მოწყობილობა მიღებული იქნა თავის დროზე.

სულ ახლო მომავალში დაიწყება დახურული და ღია ქვესადგურების მონტაჟი, ამჟამად უკვე მიმდინარეობს მარგანეცის ბუნკერების ტრანს პორტიორის მონტაჟი; მუშაობას ხელს უშლის ზოგიერთი ნაწილების მიუღებლობა.

ქარხნის მშენებლობა განიცდის ზოგიერთი მასალების ნაკლებობას. ქარხნის მონტაჟისათვის ელექტრომოწყობილება მიღებულია 80 პროცენტით.

რიონჰესის მშენებლობიდან სათანადო «დადგენილებით მშენებლობას სექტემბერში უნდა მიეღო 3 ტრანსფორმატორი, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არაა მიღებული.

ზოგიერთი მოწყობილობა უგზო უკვლოდ დაიკარგა

დიდი ხნის წინად გამოგზავნილი ზოგიერთი მოწყობილობანი რკინის გზის აგენტების დაუდევარი მუშაობის გამო დღემდე არა მიღებული, და არც არავინ იცის, თუ სად იმყოფება ამჟამად ისინი.

რკინის გზამ და კერძოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზების დირექციამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები აღნიშნული მოწყობილობის მოსაძებნად და მშენებლობისათვის მისაწოდებლად.

რკინის გზის უთავბოლო მუშაობის ფაქტები ბევრია: ტფილისის მარგარინის ქარხნის მოტორი შეცდომით გაგზავნეს თირო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე. ფერო-მარგანეცის ქარხნის რეოსტატი კი თვეხანეგარზე მიჭირა ნავთლუღში გდია. ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობისათვის რუსეთის ქარხნებიდან გამოგზავნილი ხე-ტყის მასალები ბაქოში ყრია, მაშინ, როდესაც მშენებლობა ხე-ტყის ნაკლებობას განიცდის.

მეტი ყურადღება მუშათა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობებს

ქარხნის მშენებლობაზე მუშათა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბევრი რამაა გაკეთებული მაგრამ ეს არ კმარა. სამუშაო ჯერდევ ბევრია. გაუმჯობესებულია, შედარებით წარსულთან, კვების საქმე. მაგალითად მუშებს თუ კვირაში ერთხელ ან ორჯერ ეძლეოდათ ხორციანი საღილი, დღეს ოთხჯერ ეძლევათ. ქარხნის მშენებლობაზე მუშათა კვების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივმა კოოპერაციამ გახსნა ტრესტი, რომელიც ამზადებს საზამთროთ საზორაც საქონელს.

ქარხნის მშენებლობის კოოპერაცია გეგმით გათვალისწინებულ სამრეწველო საქონელს და პროდუქტებს არ ღებულობს თავის დროზე, ასე მაგალითად, კოოპერაციამ ცალკე შენის ფონდიდან მესამე კვარტალში შეაჩარა 5380 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 3.000 კილოგრამი, ჩაი სრულიად არაა მიღებული. 2.500 კილო თევზიდან არც ერთი კილო არ არის მიღებული. შეკერილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და კალოში სრულებით არაა მიღებული. ცალკეშირმა უნდა დააჩქაროს ალინეს ნული პროდუქტების და სამრეწველო საქონლის მიწოდება.

ტექნიკის დაუფლება — ყურადღების ცენტრში

ზშენებლობაზე არსებობს სულ 10 ტექნიკის დაუფლების წრე (საკალათბოზო, სადურგლო, ელექტრობის, მექანიკური, ათის თავების, მიწის მზომელების ბეტონის ჩამომსხმელების, მერმატურების და საბჭ. ეკონომის), რომლებშიაც ჩაბმულია 214 დამკვრელი მუშა, აქედან ქალია 25. წრეების მუშაობის ხარისხი არაა დამაკმაყოფილებელი. სამაორეულოს კადრების განყოფილებამ საქ. სმუსიდან მიიღო ახალი დებუტები ტექნიკური პროპაგანდის დარგში სახელმძღვანელოთ. დებუტების თანახმად მშენებლობაზე გამოყოფილი უნდა იქნის ტექპროპაგანდის სექტორა, რაც ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. სამი თვე გადის რაც მშენებლობაზე ათისთავების მოსამზადებელი წრის მეცადინეობა არ ჩატარებულა; წრეების მუშაობას არ აქვს სისტემატიური ხასიათი.,

საჭიროა ზემოაღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად ფართოდ გაიშალოს მუშაობა და უზრუნველყოფილ იქნეს ამ. სტალინის გამარჯვების 6 პირობის მთლიანად გატარება.

აკ. ნიკოლეიშვილი

პარტიული მშენებლობა

პარტიული მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანით

უზრუნველვყოთ საწარმოო გეგმების მთლიანად შესრულება

ისევ ძველებურად მუშაობენ

(ხონის ძაფსახვევი ქარხანა)

ს. კ. პ. (ბ) ხონის რაიკომის გაფართოებული სხდომა ორგპარტმასიური მუშაობის გარდაქმნის შესახებ რაიკომის ანგარიშს აბარებს ხონის ძაფსახვევ ქარხნის ბიურო-კოლექტივის მდივანი ამხ. **კაკაბაძე.**

— ჩვენს ქარხანაში 3 საანგრიშო უჯრედია, 7 პარტჯგუფი და 2 პარტორგანიზატორი... დღემდე ბიუროკოლექტივის სხდომა გვქონდა 24-ჯერ, — გავარჩიეთ 87 საკითხი, აქედან ორგანიზაციული 21, საწარმოო ბასიაციის 27, მასიური კამპანიების 17 და...

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თქვენ მხოლოდ თქვენი მუშაობის შესახებ მშრალ სტატისტიკას გვაწოდებთ — აწყვეტინებენ კაკაბაძეს. — გვითხარით როგორ გარდაქმნით პარტშესწორი მუშაობა. სთქვით რა აკეთებენ ფაქტიურად თქვენი ქარხნის პარტჯგუფები და გამოყოფილი პარტორგანიზატორები.

— ისინი აკეთებენ ყოველივეს კარგად

— როგორ ატარებთ ცხოვრებაში ცეკას დადგენილებას საწარმოო-საფინანსო გეგმის ვადაზე შესრულების უზრუნველყოფისათვის?

— ცეკას დადგენილების გატარება ჩვენი მიზანია.

ბიუროკოლექტივის მდივანის კაკაბაძის მოხსენება და პასუხი შეკითხვებზე ისე შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ მან თითონაც არ იცის თავისი ქარხნის ნამდვილი მდგომარეობა. კაკაბაძეს ჩაწერილი აქვს ბიუროკოლექტივის სხდომების რიცხვი და ის თუ ამ სხდომებმა რამდენი საკითხები „გაარჩია“, მაგრამ ვერ იგონებს თუ რა საკითხები იყო ეს. კაკაბაძეს არ ეხსოვს ისეთი „წვრილმანიც“ კი როგორიცაა მისი ქარხნის საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულება პროცენტებში.

— პარტიულ კრებებზე წევრების 100 პროცენტით დასწრების უზრუნველყოფისათვის ჩვენ უკანასკნელ ხანებში მივიღეთ ენერგიული ზომები — განაგრძობს კაკაბაძე, — ამან დასწრების პროცენტის გადიდების საქმეში დიდი ეფექტი მოგვცა.

— მაინც რა ღონისძიებებით მიაღწიეთ გაუმჯობესებას ამ დარგში— ეკითხებიან მომხსენებელს.

— საესებით ადვილად და მარტივად. სამუშაო საათების დამთავრების მოახლოებისთანავე ვაქტებთ ქარხნის ეზოს ჯარებს და კრების დამთავრებამდე არ უშვებთ იმათ, ვინც კრებაზე არიან მოწვეულნი.

რაიკომის სხდომაზე გამოირკვა, **რომ ხონის** ძაფსახვევ ქარხანაში ორგპარტმასიური მუშაობის გარდაქმნის პროცესი დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა. არც ერთხელ არ ჩატარებულა პოლიტდღე. პარტიული კრებების წინასწარ მომზადებას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა. სამზადისი პარტიული დოისათვის იმაში გამოიხატება, რომ კრების მოწვევის დროს, ადგილი და დღის წესრიგი ქვეყნდება წინასწარ.

ბიუროკოლექტივი და საამქროს უჯრედები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა და მისი შედეგების სისტემატური შემოწმება, მუშათა რეალური ხელფასის ზრდა, საბინაო მშენებლობა, მუშების მომარაგება, და საერთოდ მათ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ქარხანაში სუსტადაა გაშლილი კულტურული მუშაობა. მას არა აქვს კლუბი, რის გამოც როგორც უჯრედები ისე ადმინისტრაცია იძულებულია საერთო კრებები მოაწყვიონ სრულიად შეუფერებელ ბინებში.

პარტიული ჯგუფები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. როგორც რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის **ა. ქარსანიძის** თანამონაწილეებიდან გამოირკვა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქარხნის რომელიმე პარტჯგუფს გაერჩიოს წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები.

ქარხნის ბიუროკოლექტივი საკმაო ყურადღებას არ აქცევდა შესრულების შემოწმებას. ასე მაგალითად პირველი კვარტალის საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულების მდგომარეობა შეამოწმა მხოლოდ მე-2 კვარტალის პირველი თვის დასასრულს. არ ექცევა ყურადღება იმას, თუ ცალკე საამქროები და მთელი წარმოება როგორ იცავს სამუშაოთა ვადებს და სხვ.

შემჩნეულია, რომ პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის მნიშვნელობას სათანადოდ არ აფასებენ ხონის ძაფსახვევ ქარხნის ბიურო - კოლექტივის ხელმძღვანელი ამხანაგები. რაიკომის სხდომაზე ამხ. **კაკაბაძემ;** განაცხადა: დუპაონის ძაფსაღებ ქარხანაში (ისიც ხონში არსებულს) პარტმასიური მუშაობა ძლიერ ჩამორჩენილია, მაგრამ საწარმოო - საფინანსო გეგმები მაინც დამაკმაყოფილებლად სრულდებაო, და აქედან ის დასკვნა გამოყავდა, რომ პარტმასიური მუშაობის გაუმჯობესებაზე არ არის დამოკიდებული გეგმების შესრულება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ხონის ძაფსახვევ ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას **რაიონული კომიტეტი დღემდე ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას.**

ამჟამად ს. კ. პ. (ბ) ხონის რაიკომს უკვე მიღებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებანი ზემოაღნიშნული ბიუროკოლექტივის მუშაობის გასაჯანსაღებლად. საჭიროა ამ ღონისძიებათა დროზე და მთლიანად გატარება ცხოვრებაში

ხონის ძაფსახვევ ქარხნის პარტორგანიზაციამ პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში მაგალითი უნდა უჩვენოს რაიონს, როგორც საწარმოო, ისე საკოლმეურნეო და სოფლის უჯრედებს. ამ ორგანიზაციამ ახლავე უნდა მოკიდოს ხელი, მოსკოვის, ბაქოს და თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილებათა გადმოტანას და მის საფუძველზე მუშაობის დაუყოვნებლივ **საქმით** გარდაქმნას.

დ. რ.

პოლიტსკოლები უზრუნველვყოთ კვალიფიციურ პროპაგანდისტებით

(აბრეშუმის ფაბრიკა)

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის პარტორგანიზაციამ პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგა საშემოდგომო - ზამთრის პარტგანათლების ქსელის გაშლისათვის.

27 სექტემბერს აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის მე-3 საამქროს პარტორგრედის ღია კრებაზე კომკავშირთან ერთად დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს 1932 წლის 5 სექტემბრის დადგენილება 1932-33 სასწავლო წლის შემოდგომა - ზამთრის პარტგანათლების ქსელის გაშლის შესახებ.

საქსოვ საამქროს პარტუჯრედის კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ლარიბაშვილი.** რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ და უპარტიო მასების მარქსისტულ-ლენინურ თეორიით აღჭურვას.

მოხსენების შემდეგ გაჩართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **ნადირაძემ, ბოჭორიშვილმა, ბარამიძემ** და სხვ. კამათში გამოსულნი ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ აბრეშუმის ფაბრიკის პარტუჯრედებმა 31-32 წელში ვერ გაუწიეს სათანადო ხელმძღვანელობა პარტგანათლების ქსელის გაშლას. მართალია 31-32 სამოსწავლო წელში ფაბრიკაში ჩამოყალიბებული იყო 18 პოლიტსკოლა, მაგრამ არც ერთი მათგანი უზრუნველყოფილი არ იყო საკმარისი კვალიფიკაციის პროპაგანდისტებით. **პოლიტსკოლებში დაცდენილი იყო დისციპლინა,** პოლიტსკოლების ხელმძღვანელები ხშირად აცდენდნენ მეცადინეობას.

უჯრედების კრებებზე მიღებული

თბ. მოლოტოვის სახ. ფაბრიკის საუკეთესო პარტორგანიზატ. ამხ. ხიდოშვილი

ვინ მფარველობს

მცხეთის საფ. განყოფილებაში საქმეები ქაოტიურ მდგომარეობაშია. საფ. განყოფილების გამგე არშაკ ხუბეროვი არ არის საქმით დაინტერესებული. იგი არ არის მომზადებული საფ. დარგში სამუშაოდ მუშაობის მაგიერ არშაკ ხუბეროვი ეწევა სისტემატიურ ლოთობას ფინანსის გამგემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამას წინად სამუშაო მიატოვეს და დილიდან საღამომდე იქეიფეს. რაიკოოპ. კავშირის სასადილო მათ ძველ სამიკიტნოდ გადააქციეს; სასადილოში მოიტანეს გრამაფონი, რომ უფრო სიამოვნებით შეეკრნენ ქეიფს. ქეიფის შემდეგ რაიაღმასკომის თავმჯდომარე **მ. მრევლიშვილი** ძალზე მთვრალი დადიოდა ქუჩებში.

მრევლიშვილი მცხეთის რაიონ. კომისია - მუშმკლებინის მიერ მოხსნილი იყო რაიმიწწყინის გამოის თანამდებობიდან, როგორც საქმისათვის შეუფერებელი და ლოთი. ამის შემდეგ ვინაიდან დანიშნული იგი უფროსი დიდ თანამდებობაზე დაწინაურდა და რაიაღმასკომის თავმჯდომარედ დაინიშნა.

არშაკ ხუბეროვი, მრევლიშვილთან მჭიდრო კავშირშია. ამ „ბრიგადაში“ აქტიური წევრად შედის მცხეთის კოოპერატივის თავმჯდომარე **გ. მრევლიშვილი.**

ჩვენ მოვითხოვთ ხუბეროვის და მრევლიშვილის „მოღვაწეობის“ გამორკვევას და რაი - საკონტროლო-კომისია მუშკლებინის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

დ—ძ

—:—

რედაქციისაგან

„კომუნისტი“ მოელის საქმეში მცხეთის რაიისაკონტროლო კომისია-მუშკლებინის ჩარევას და ცნობას მიღებული ზომების შესახებ.

მოთავსებულ წერილების საპასუხოდ

„წერილი „საქნავთის“ მიერზაანის სარეწაოდან“

ჩვენი გაზეთის №4 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო ამ სათაურით ამხ. ს. დოლიძის წერილი. წერილი შეეხებოდა ნავთის გადამმუშავებელ ქარხნის მუშათა კოოპერატივში ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. რედაქციამ სიღნაღის რაიონის პროკურორისაგან მიიღო ცნობა, რომ აღნიშნული საქმე გამოძიების მოსახდენად და ბოროტმოქმედთა პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა რაიონულ გამომძიებელს.

„ყველაფერში დამნაშავეა საკოლმეურნეო ვაჭრობა“

ამ სათაურით „კომუნისტი“-ს 29 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილის შესახებ, რომელიც ეხებოდა უმსგავსობას ქობულეთის სანატორიუმში. ქობულეთის რაიონ. საკონტროლო კომისია - მუშკლებინმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„აღინიშნოს, რომ „კომუნისტი“-ს 201 ნომერში მოთავსებული წერილი—„ყველაფერში დამნაშავეა საკოლმეურნეო ვაჭრობა“ — შეეფერება სინამდვილეს, სანატორიუმში მართლაც დაბალი იყო კვების ხარისხი და ადგილი ქონდა საეჭვიმო პერსონალის სუსტ მომსახურეობას დახვენებლებისადმი, ეს გარემოება გამოწვეული იყო ეჭიმის ნაკლებობით და მედპერსონალის გულგრილობით.

ამხ. ბროკოშვილის (კურორტის მმართველი) წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა.

წინადადება მიეცეს კურორტის მმართველს — გადამწერელი ზომები მიიღოს დამსვენებელთა კვების გასაუმჯობესებლად და მედპერსონალის შტატის შესავსებად“.

„იშვიათი თაიგული“

„კომუნისტი“-ს 16 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილის („იშვიათი თაიგული“) საპასუხოდ ჩოხატაურის რაიმასკონტროლო კომისია - მუშკლებინისაგან რედაქციამ მიიღო შემდეგი ცნობა:

„ჩატარებულმა გამორკვევამ წერილის ძირითადი ნაწილის სისწორე . დადასტურა ბახმაროს პანსიონატის დირექტორი მაისაია ყოველად მიუღებელი მეთოდებით ხელმძღვანელობდა პანსიონატს, პანსიონატში მან თავი მოიყარა თავის ნაცნობ-მეგობრებს. პანსიონატში ადგილი ქონდა დამსვენებელთათვის ულუფის დაკლებას და ჯურღმის შემთხვევებს საწყობში. ამის გამო ზოგიერთმა დამსვენებელმა პანსიონატი ვადაზე ადრე მიატოვა.

ეჭიმ შოთაის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დადასტურდა.

პანსიონატის დირექტორ მაისაიას წინააღმდეგ სჩერის შემთხვევის მისაღებად მთელი საქმე აღგზნებულია საქ. კურორტთა მთავარ სამმართველოში.

გამოვასწოროთ გემო-კვების მრეწველობის გარღვეული ფრონტი

გემო-კვების მრეწველობის წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. უკანასკნელ ხანებში მრეწველობის ამ დარგის განვითარებისათვის გადადგა მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რამაც მოგვცა კვების საწარმოთა მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება. მაგრამ მიუხედავად ამისა, გემო-კვების მრეწველობა საერთოდ უფრო ცუდად მუშაობს ვიდრე მრეწველობის დანარჩენი დარგები. ეს აიხსნება სუსტი ხელმძღვანელობით, რომელსაც გემო-კვების მრეწველობის ცალკე დარგოთა მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება. მაგრამ მიუხედავად ამისა, გემო-კვების მრეწველობა საერთოდ უფრო ცუდად მუშაობს ვიდრე მრეწველობის დანარჩენი დარგები. ეს აიხსნება სუსტი ხელმძღვანელობით, რომელსაც გემო-კვების მრეწველობის ცალკე გაერთიანებები უწევენ თავიანთ ძირეულ ქსელს—ფაბრიკა -ქარხნებს და საწარმოებს, აიხსნება მუშაობის იმ ძველი დახასიათებული მეთოდების და ფორმების ნაწილობრივი შენარჩუნებით, რომლებიც ხელს უშლიან საწარმოებს სამეურნეო ინიციატივის გაშლასა და განვითარებაში. დაბოლოს გემო-კვების მრეწველობის სუსტი მუშაობის მიზეზები უნდა ვეძიოთ მრეწველობის ამ დარგის მუშაკთა უუნარობაში—გამოძეძებნონ და გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და სამეალებანი და არ უცადონ ხანგრძლივად ელოდონ და მხოლოდ ცენტრალიზებულ წესით ნედლეულის მიღებას.

მიმდინარე წელში მეტად სერიოზული ამოცანები დგას კერძოდ საქართველოს გემო-კვების მრეწველობის წინაშეც. საქართველოს გემო-კვების მრეწველობამ მიმდინარე 1932 წელში უნდა გამოიმუშაოს 43 მილიონ 995,5 ათასი მან. საერთო პროდუქცია. (1926-27 წ. ფასებში). აქედან მარტო ფართო მოხმარების საგნები შეადგენენ 41.687 ათასი მან. მარტო ეს ციფრი მიუთითებს იმ დიდ ამოცანებზე, რომელიც გემო-კვების მრეწველობის და მისი ცალკე გაერთიანებების წინაშე დგას მიმდინარე წელში.

მიმდინარე წლის განვლილი 8 თვის განმავლობაში საქ. გემო-კვების მრეწველობის მუშაობის განხილვა სრულებით არ იძლევა ისეთს სურათს, რომელიც მრეწველობის ამ დარგს წარმატებით მუშაობაზე ლაპარაკობდა, ნაცვლად ამისა გემო-კვების მრეწველობის საწარმოებისათვის.

თბილისის საწარმოებმა ივლისის განმავლობაში სრულებით არ მიუღიათ გეგმით გათვალისწინებული ნედლეული და საჭირო მასალები. ამას ზედ ერთვოდა სამუშაოების მწვავე ნაკლებობა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი გაცდენები ამ საწარმოებში.

თამბაქოს ტრესტის საწარმოები ამ ხნის განმავლობაში განიცდიდენ ქაღალდის სისტემატიური ნაკლებობის, რადგან ქაღალდის მომწოდებელი ორგანიზაციები სისტემატიურად არღვევდენ და არ ასრულებდენ ხელშეკრულებებს. ამასთან ერთად ადგილი ქონდა მანქანების ნაწილებით თამბაქოს ფაბრიკების მომარაგების გეგმის შეუსრულებლობას, წლის პირველი ნახევრის გეგმა ამ დარგში შესრულდა მხოლოდ 46 პროცენტით.

თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო გემო-კვების მრეწველობის დანარჩენ დარგებშიაც და კერძოდ კონსერვების მრეწველობაში. აღსანიშნავია გორის საკონსერვო ქარხნის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა; ამ ქარხანამ 1932 წლის 8 თვის საწარმოო გეგმა მხოლოდ 51,6 პროცენტით შეასრულა.

გემო-კვების მრეწველობის ცალკე დარგების და საწარმოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზები უნდა ვეძიოთ არა მარტო და არა იმდენად მომარაგების ცენტრალიზებული წესით გათვალისწინებული ნედლეულის მიუღებლობაში, არამედ უმთავრესად სუსტ სამეურნეო-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაში ცალკე საწარმოთა მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად. ისინი ლაპარაკობენ გემო-კვების მრეწველობის ზოგიერთი სამეურნეო მუშაობის უუნარობაზე—ბოლშევიკურად მოკიდონ ხელი საწარმოო საკითხებს, გამოიჩინონ მეტი თვითინიციატივა და სამეურნეო უნარიანობა, გამონახონ და ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და ნედლეულის ადგილობრივი წყაროები და არ უცადონ და არ იჭიმონის ხელით და მხოლოდ ცენტრალიზებული მომარაგების იმედი. საშუალოდ ამას კვების მრეწველობის მუშაკები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. პარტია კი მათგან ამას მოითხოვს.

პარტია ელის კვების მრეწველობის მუშაკთაგან ამ დეფექტების სასწრაფოდ გამოსწორების და ბოლშევიკური ბრძოლის გაშლას არსებული გაროვანების ლიკვიდაციისა და 1932 წლის გეგმების ვადაზე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეკონომისტი

ლენინის ნაფერების დამახინჯების წინააღმდეგ

მშრომელთა მასების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინის თხზულებების და მისი ცალკე რჩეულ ნაწერების სხვადასხვა ენებზე გამოცემას. უნდა ითქვას, რომ ლენინის ნაწერების წესიერად თარგმანის და მასთან შენიშვნების გაკეთების საქმე ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. მაგალითად, ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“-ს თარგმანს უკეთ ენებზე ზოგი ისეთი შენიშვნები აქვს გაკეთებული, რომლებიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ლენინის მიერ თვით წიგნში გამოთქმულ აზრებს. ზედმეტია მტკიცება იმის, თუ რომდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ავტორის ფორმულიროვკების, მისი აზრის სწორად გადმოცემას, განსაკუთრებით ათქმის ეს ლენინის ნაწერებზე, რომლებზედაც ათეული მილიონები იზრდება. აქ ყველაზედმეტმა თარგმანში, ლენინის აზრის ოდნავ გამრუდებას შეუძლია დაბნეულობა გამოიწვიოს მკითხველებში.

ამ თვალსაზრისით ძალზე მოიკოჭლებს ლენინის ზემოხსენებული წიგნის—„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“-ს თარგმანი ქართულ ენაზე. თარგმანში ბევრია გამოტოვებული ადგილები, დამახინჯებულია აზრები და შეტანილია ისეთი გამოთქმები, რომლებიც ლენინს ფიქრადაც არ მოსვლია. სანიმუშოთ მე ავიღე ერთი თავი—„თანამედროვე ფიზიკის კრიზისი“ (ნაწილადაც: „უახლოესი რევოლუცია ბუნების მეცნიერებაში“).

1. თარგმანში ვკითხულობთ:

„ამ თეორიის მიხედვით ატომები უმცირეს ნაწილაკებს წარმოადგენს, ელექტრონებს, რომელიც გატენილი ელექტრობით და „ჩაშვებულია წვრილ, რომელსაც ეთერს უწოდებთ“.

უმცირესი ნაწილაკები, რომლებიდანაც შესდგებიან ატომები (და არა გატენილი) **დამუხტული** და **არაუარყოფითი** ელექტრობით. და კარგად იცოდა ლენინმა და ამიტომ წინადადებაში მას ეს ხაზგასმული სტატვები აქვს. შემდეგ, ეთერი „წვრილ კი არ წარმოადგენს, (არ შეიძლება ყოველთვის, როცა რუსულში სიტყვა **„среда“** გვხვდება ის „წვრეთ“ ვთარგმნოთ).

ამიტომ მთელი ეს წინადადება სწორად გადათარგმნილი ასეთ სახეს მიიღებდა *)

„ამ თეორიის მიხედვით ატომები შესდგება **დადებითი** და **უარყოფითი** ელექტრობით **დამუხტულ** უმცირეს წილაკებისაგან, ელექტრონებისაგან, რომლებიც „ჩაშვებულია არეში (ან გარეშია), რომელსაც ეთერს ეუწოდებთ“.

„ფიზიკოსების ცდები მასალას გვაძლევს **ელექტრონების სიჩქარის და მათი მასის ანუ მათი მასის ელექტრონულ დამუხტვასთან შეფარდების,** გამოსაანგარიშებლად (ანუ მათი მასის დამოკიდებულების და მათ ელექტრულ გატენასთან)“

აქ მთარგმნელს, რომელსაც როგორც სჩანს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია მაც, რომ ელექტრონის ელექტრული გატენა და მასა ორი სხვადასხვა ცნებაა, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სიდიდეები, თუმცა, რომ ჩაჭვირებული ლენინის აზრს რომელიც ცოტა ქვემოთ არის მოყვანილი, არ მოუვიდოდა ასეთი უხეში შეცდომა.

ელექტრონის **ბასა იმდენად უმნიშვნელოა.** (იგი ყველაზე უმსუბუქესი ატომის წყალბადის ატომის $^1/_{1830}$ უერის, ერთი გრამი წყალბადი კი 606.000 მილიარდ ატომს შეიცავს), რომ იგი შეიძლება მხედველობაში არ იქნას მიღებული. ელექტრონს აქვს მხოლოდ ელექტრომაგნიტური ინერციით (ელე-ტრო-დინამური) ბასა, **რომელიც** იზრდება მოძრაობის სიჩქარის კვადრატის პროპორციულად. ამრიგად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი „მასის მოძრაობის სიჩქარის“ გამოსანგარიშებლად (ანუ მათი მასის დამოკიდებულების და მათ ელექტრულ გატენასთან) **მეორე ხარისხის** პროპორციულობაზე.

„ფიზიკის ცდები მასალას გვაძლევს **ელექტრონების სიჩქარის და მათი მასის ანუ მათი მასის ელექტრონულ დამუხტვასთან შეფარდების,** გამოსაანგარიშებლად“ შემდეგი წინადადება მთარგმნელს „ეკონომის მიზნით“ შეუმოკლებია:

„აღმოჩნდა, რომ ეს მოძრაობა სინათლის მოძრაობის (300.000 კილომეტრი) ერთს მესამედს უდრის“.

ლენინს კი აქვს:

„აღმოჩნდა, **რომ მოძრაობის ეს სისწრაფე შეიძლება შედარებულ იქნას სინათლის მოძრაობის სისწრაფესთან** (300.000 კილომეტრი **წამში**), **მაგალითად აღწევს ამ სისწრაფის ერთ მესამედს**“.

ამის შემდეგ ცხადია, რომ არავითარ შეთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი ელექტრონის „ორმაგ“ მასაზე, როგორც ქარ თული თარგმანშია, არამედ **„ორგვარ“** მასაზე.

„Бесконечно малые величины“ ითარგმნება არა, როგორც „**უსაზღვროთ მცირეთაოდენობანი**“(**რუსულად** ის გამოდის) **„безгранично малые количество)** არამედ უსასრულოდ მცირეოდენობანი“ წინადადებაში:

„პუანკარე თანამიმდევრად არ აწვითარებს ამ დასკვნებს, არსებითად დაინტერესებული არ არის კითხვის ფილოსოფიური მხრით. მას დაწვრილებით ეხება მეორე ფრანგი მწერალი, აბელ ფრი თავის წიგნში: „თანამედროვე ფიზიკოსების ფიზიკის თეორია“.

ბოლოთქმულია ზოგიერთი სიტყვები (ხაზგასმული):

„პუანკარე თანამიმდევრობით არ ავითარებს ამ დასკვნებს, **რამდენადმე** არსებითად დაინტერესებული, არ არის კითხვის ფილოსოფიური მხრით, მას დაწვრილებით ეხება მეორე ფრანგი მწერალი **ფილოსოფოსი** საკითხებზე აბელ რეი“.. და ა. შ.

ერთი ციტატა ა. რე

10 ოქტომბერს ჭიათურაში შესვლება

მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის მე-9 ტირაჟი

მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის მე-9 ტირაჟს შევხდეთ გამარჯვების პატაკით

(ჭიათურის რაიონი)

ჭიათურის რაიონის **პარტორგები, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციები** უკვე გაწალეს მუშაობა ფინდაგალებათა შესრულებისათვის, **მიერთ** მუშაობა ჯერ კიდევ არ სდგას **სათანადო სიმაღლეზე.**

ზოგიერთ სასოფლო - **საბჭოებმა** ვერ უზრუნველყვეს სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულება. ბრეთის, კაცხის, ქვაცოხეს, **ჭალას** და კორპოლის სახ. **საბჭოები** სისტემატიურად ჩაჩიან უკან სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულების საქმეში.

მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის მე-9 ტირაჟი, რომელიც ჭიათურაში ჩატარდება, **ავალებს** ყველა ორგანიზაციებს — მუშაობის ფართოდ გაშლას სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულების საქმეში, „მეოთხე დამპათაღრებელი წლის სესხის“ რეალიზაცია საჭირო ტემპებით ვერ მიმდინარეობს. სამარცხვინოდ არიან ჩამორჩენილი ჭალის, ბრეთის, კაცხის, სიხზერის, და არგვეთის სასოფლო საბჭოები. მათგეგმა შეასრულებული აქვთ არა უმეტეს 24,7 პროცენტისა.

რაიონის მიხედვით კოლექტიურ სექტორში ხელის ეროწერა უნდა გაფორმებული ყო 67000 მანეთზე, დღემდე გაფორმებულია გეგმის 81,9 პროცენტი. უარესი ჩამორჩენაა **კერძო სექტორში**, სადაც **20 სექტემბრამდე გეგმა მხოლოდ 36,3 პროცენტით შესრულდა.**

რაიონულ ორგანიზაციებმა და სასოფლო-საბჭოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა ტირაჟის დღეს, 10 ოქტომბერს, რაიონი მიღწევებით შეხვდეს ფინანსიურ დავალებათა გეგმის შესრულების საქმეში.

რ. ფალავანდიშვილი.

მაღალი ტემპების მაგალითი

ბაშკიჩეთი, 29 სექტემბერი პარტრაიკომის ხელმძღვანელობით ფინშუშაკების აქტიური მუშაობით, სოც-შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლის საფუძველზე, ბაშკიჩეთის რა ორნმა ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულების საქმეში მიღწია.

20 სექტემბრისათვის რაიონს შესრულებული ქონდა ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა 104,1 პროცენტით. — 228.400 მანეთის ნაცვლად აკრეფილი ქონდა 237.873 მანეთი. მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 13 პროც. გადაჭარბებით. გეგმით გათვალისწინებულ 248.000 მანეთის ნაცვლად გაყრცელებულია 251.231 მანეთი.

მთელ რაიონში გამოცოცხლებულია ხელის მოწერის შემოწმების და გეგმის გადაჭარბებით შესრულების ათდღიური.

ჩანკვეტაძე

კონკურსი უკეთეს შემნახველ სალაროზე

მესამე გადამწყვეტი წლის სესხის მე-9 ტირაჟთან დაკავშირებით, (რომელიც 10 ოქტომბერს გაიხსნება ჭიათურაში), საქართველოს შემნახველ სალაროებს შორის გამოცხადებულია **კონკურსი მე-3 კვარტალის დავალებათა** (სესხის რეალიზაცია, ძველი სესხების ობლიგაციების მთლიანად დაიგიგება ხელის მოწერათვის, ანაბარების მოზიდვა, პირადი დაზღვევა) **მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაზე.**

გამარჯვებულ შემნახველ სალაროების დასაჯილდოვებლად გამოყოფილია პრემიალური ფონდი — **20.000 მანეთის რაოდენობით.** დაწესებულია სულ 8 ჯილდო: 2 ჯილდო, თითო **4.000 მანეთიანი,** 2 ჯილდო — თითო **3.000 მანეთიანი,** 1 ჯილდო **2500 მანეთიანი,** 1 ჯილდო — 1.500 მანეთიანი. და 2 ჯილდო თითო **1.000 მანეთიანი.**

ობლიგაციები დღემდე არ მიუღიათ

(ქოგულეთის რაიონი)

სოფ. **აჯვარს**-თავის გლეხობამ მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაცია აქტიურად ჩაატარა. **ზოგიერთ ხელის მომწერმა მთელი ხელმოწერილი თანხა შეტანა ხელის მოწერისთანავე,** დანარჩენებმა ხელმოწერილი თანხა დაფარეს თანდათანობით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომ ორგანოების დირექტივების მიხედვით, ობლიგაციები დროულად დარიგებოდათ ხელის-მომწერლებს, სოფ. **აჯვარს**-თავის გლეხობას ობლიგაციები ჯერაც არ მიუღია. სოფელმა ამის შესახებ არა ერთჯერ მიმართა ლეღვას სასოფლო საბჭოს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ეს მდგომარეობა ძალზე აფერხებს მოთხე დამამთავრებელი წლის სესხის რეალიზაციას.

რაიონულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა გამოარკვიონ ეს საქმე. ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ უნდა დაურიგდეთ ობლიგაციები, ხოლო დამნაშაულებს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

რ. მ—დე.

ამხ. ანდრო გეგეშიძის ხსოვნას

ღამით 27 სექტემბერს სადგ. ზესტაფონში ტრაგიკულად დაიღუპა ა.-კ. რკ. გზ. ელექტრიფიკაციის ელექტრომეურნეობის გადამცემი ხაზის სამუშაოების მწარმოებელი ამხ. **ანდრო გეგეშიძე.**

დიდია მისი დანაკლისი ა.-კ. რკ. გზებისათვის განსაკუთრებით დღეს, როდესაც ტარდება უკანასკნელის რეკონსტრუქცია ელექტროფიკაციის საფუძველზე.



ამხ. ანდრო მუშათა წრიდან იყო დაწინაურებული ამ უდარესად სახელოვანი სამუშაოებზე და როგორც საუკეთესო დამკვრელი, ბოლშევიკი—სპეციალისტი ენერგიულად იბრძოდა ტრანსპორტის რეკონსტრუქციის მძიმე ფრონტზე. მუშაობის ახალი სისტემის და მეთოდების შემოღებით, მან შესძლო განსაცვიფრებელი შედეგების მიღწევა გადამცემი ხაზის მონტაჟის საქმეში. რადაც 2 თვის განმავლობაში ამხ. ანდროს მტკიცე ხელმძღვანელობით მონტაჟზე მომუშავე ჯგუფმა შესძლო გადამცემი ხაზის დამთავრება და ჩაბარება დანიშნულ დროისათვის კასპიიდან-ზესტაფონამდე. ამხ. ანდრომ არ იცოდა მოსვენება. ის მთელი თავისი ენერგიით, დღე-ღამის, ენტუზიაზმით ეწეოდა მძიმე მუშაობას, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გაუზომელია ამხ. ანდროს ღვაწლი სურა მის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საქმეში. მხოლოდ მის უდიდეს ენერგიას შეძლო დიდ გვირაბში 20 საათის განმავლობაში გაბურღული ას ხუთმეტრიანი ხვრელის ასანთქალის მილით შეერთება, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ელექტრიფიკაციის სამუშაოების მოძრაობის შეუფერხებლად სრულიად უმარცხოდ და საკონტაქტო ხაზის დანიშნულ დროზე გაყვანა. მხოლოდ მისმა აშეარამა ხელმძღვანელობამ შესძლო დაკიდებულ ხიდებზე საკონტაქტო ანძების დაყენება. ამ უღირსეად სახიფათო სამუშაოებზე ამხ. ანდრო ერთი წუთითაც არ მოშორებია სამონტაჟო პარტიას და ამხნევებდა მას.

ამხ. ანდრო დარაჯად ედგა მუშების საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს, ის ისედაც მაქსიმალურად დატვირთული სხვადასხვა საზოგადოებრივი მუშაობით, ყოველთვის პოულობდა დროს მუშების მოძარავებაზე სახრუნავად, რათა ამ მხრივ არ ჰქონოდა ადგილი შეფერხებებს მუშაობაში და უზრუნველეყო დამკვრელი სამუშაოს დროული შესრულება.

ამხ. ანდროს მუშებში უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ქონდა დამსახურებული.

და იმ დროს, როდესაც ასეთ კვალიფიციურ მუშაობას იყო დამყარებული ახალი კადრების ალზრდის დიდი იმედები ელექტროფიკაციის შემდგომი სამუშაოების შესრულებისათვის, ამ დროს უბედურება შეემთხვევამ ურთოროდ გამოთიშა ის ჩვენი რიგებიდან, როდესაც ის ხაზიდან კამერალურ სამუშაოებზე ბრუნდებოდა, სადგ. ზესტაფონში მოჰყვა მატარებლის ქვეშ და დაიღუპა.

ამხ. ანდრო გეგეშიძე მოსწყდა ელექტრიფიკაციის დაკვრელ მუშათა რიგებს. მისი სახით ჩვენ დაკარგეთ თავდადებული ტექნიკური ძალა და უანგარო მებრძოლი. დანაკარგი ასეთ ახალგაზრდა ენერგიული და ნიჭიერი მუშაკის ნაადრევ სიკვდილის გამო ძნელი შესავსებია